ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის წარმატებულობისა და წარუმატებლობის შეფასება სამხრეთ კავკასიის რეგიონში

თეა ინასარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თეა ინასარიძე

20.06.2014

აბსტრაქტი

განვიხილავთ „ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკასა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის წარმატებულობასა და წარუმატებლობას სამხრეთ კავკასიის რეგიონში“. თემის ფარგლებში მიმოვიხილავთ აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას, სტატიებს, ინერვიუებს, მოსაზრებებს, რაც დაგვეხმარება ჩვენი **საკვლევი კითხვის** პასუხის გასაცემად, თუ რატომ შეიძლება მივიჩნიოთ სავაჭრო და ინტეგრაციის პოლიტიკა საქართველოში უფრო წარმატებულად, ვიდრე სომხეთში და აზერბაიჯანში. თემის ფარგლებში მართლაც გაეცა ჩვენს კითხვას პასუხი, რომ საქართველოში მეტად წარმატებულია ევროკავშირის ინტეგრაციის ეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკა, ვიდრე დანარჩენ ორ ქვეყანაში. ასევე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ყველაზე მეტად აქვს ევროპისკენ აღებული გეზი, ვიდრე აზერბაიჯანს ან სომხეთს, ამის ძირითადი ფაქტორი კი შეიძლება იყოს რუსეთი, რომელიც „ხისტი ძალის“ პოლიტიკით ხასითდება, რაც შესაძლოა დიდ გავნას ახდენს ამ ქვეყნებზე, რომლისკენაც მეტად მიისწრაფვიან ისინი ვიდრე ევროპისკენ.

თემაში გამოვიყენეთ „რბილი ძალის“ **თეორია**, როგორც ევროკავშირის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ბერკეტი. თუ რა გავლენას ახდენს აღნიშნული პოლიტიკის გატარება აღნიშნულ ქვეყნებზე, ვეცდებით თემაში განვიხილოთ დაწვრილებით.